



აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხეებით
სრულად იყო შემორჩენილი (სიმაღლე 3 მ), ხოლო
საკურთხეველი და სამხრეთი კედლის საძირკვლი
გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. აფსიდში
სსნარით მოგებული იატაკი და კანკელის საძირკვლის
ნაშთები აღმოჩნდა.

ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები შიგნიდან
აღჭურვილია პილასტრებით. ნაგებობა, როგორც ჩანს,
გადახურული იყო კამარით, რომელიც ეყრდნობდა ერთ
წყვილ პილასტრზე გადადებულ თაღს. ეკლესიას ორი
შესასვლელი ჰქონია: დასავლეთიდან და სამხრეთიდან.
სამხრეთის ღიობი მოგვანებით, სამეურნეო სათავსის
მიშენების გამო, ამოუქოლავთ.

შენობა ძირითადად ნაგებია ფლეთილი ქვით, აქა-
იქ შერეული აქვს რიყის ქვა და აგური. პილასტრები
და საკურთხეველი თლილი ქვებითაა ნაგები.
შენობის ჩრდილოეთ კედელზე ზოგან შემორჩენილია
შელესილობის კვალი.

დარბაზული ეკლესია აგებული უნდა იყოს სამნავია-
ნი ბაზილიკის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ,
დაახლოებით X-XI საუკუნეებში. საფიქრებელია, რომ
თურქების მიერ ციხისძირის დაკავებამდე ეკლესია
მოქმედი იყო.



www.ajaraheritage.ge
info@ajaraheritage.ge
[f პეტრას ციხე-სიმაგრე/Petra Fortress](https://www.facebook.com/PetraFortress)

ეკლესიერი

ახალის ჩატარები
გეგვიდორის გადაწყვეტილები
აუგვის სამართლი



CULTURAL HERITAGE
PRESERVATION AGENCY
OF AJARA

სამნავისი გარედან

შიდაციხის ცენტრში გამოვლენილია ორი სხვადასხვა ეპოქის ეკლესისა და ამთები. უძველესი ეკლესია, რომელიც სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, საძირკვლის დონემდეა დანგრეული და მისი მხოლოდ გეგმა იკითხება. მას აქვს შვერილი ხუთნახნაგა აფსიდი, სამნავილიანი ნართექსი და ნავების გამყოფი სწორკუთხა სვეტები. იგი სიდიდითა და ხაზგასმული გრძივი ღრძით გამოირჩევა (ზომები: სიგრძე 33,5 მ, სიგანე 17,8 მ). კედლების სისქე ნაგებობის ზომებთან შედარებით უმნიშვნელოა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ იგი გადახურული უნდა ყოფილიყო ხის კონსტრუქციებით.

ბაზილიკის ყველაზე საინტერესო ხუროთმოძღვრულ დეტალს წარმოადგენს შიგნიდან ნალისებური მოყვანილობის და გარედან ხუთნახნაგა აფსიდი, რომელი-

ცგარედან კარგად გათლილი, ფაქიზად დალაგებული ქვის კვადრებითაა შემოსილი, ტაძრის დანარჩენი კედლები კი ნაგებია ადრებიზანტიური ეპოქისათვის დამახასიათებელი შერეული წყობით, ანუ კირის დუღაბზე პორიზონტალურად დალაგებული სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, რომელსაც სისწორისათვის აგურის ფენები აქვს შერეული.


სამნავიანი ბაზილიკის ცენტრალური ნავის შიგნით, ასევე სამხრეთი და ჩრდილოეთი ნავის გარეთ, აღმოჩნდა უფროძველი ნაგებობის კედლები, რომელთა შესწავლა ჯერჯერობით არ დასრულებულა.

სამნავიანი ბაზილიკა ახ. წ. VI საუკუნით თარიღდება და დაკავშირებული უნდა იყოს იმპერატორ იუსტინიანეს სამშენებლო საქმიანობასთან ლაზიკაში. წერილობითი


წყაროებით (VII–IX სსკონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უძველესი საეკლესიო ნუსხები) ცნობილია ასევე, რომ პეტრა ლაზიკის ეპარქიის ერთ–ერთ საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. შენობის ზომებისა და მასშტაბების გათვალისწინებით ციხისძირის ბაზილიკა წარმოადგენდა საკმაოდ მოუმნიჭურ ნაგებობას, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა საეპისკოპოსო ტაძრის ყველა მოთხოვნას.

დარბაზული ეკლესია

სამნავიანი ბაზილიკის დანგრევის შემდეგ, მის ცენტრალურ ნავში აუგიათ დარბაზული ტიპის ეკლესია შვერილი ნახევარწრიული აბსიდით (სიგრძე 9,0 მ, სიგანე 9,75 მ). ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი ჩრდილო-



ეკლესიაზე სამატური გაგა



ეკლესიაზე სამატური ჩანახა